

სამართლიანობა და თანამშრომლობა

ინტელექტუალური საკუთრება, სამუშაო
პირობები და ურთიერთთანამშრომლობის
გზები მწერლებისა და მთარგმნელებისათვის

გზამკვლევი სემინარის მონაწილეებისათვის

პროექტი „წიგნის პლატფორმა“ დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ და ხორციელდება „აღმოსავლეთ
კულტურის პარტნიორობის პროგრამის“ ფარგლებში.



EUROEAST
CULTURE

პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებები არ წარმოადგენს
ევროსაბჭოს ან ევროკავშირის ოფიციალურ მოსაზრებებს.
შესაბამისად, ევროსაბჭო არ აგებს პასუხს პუბლიკაციის შინაარსზე.

სამართლიანობა და თანამშრომლობა

ინტელექტუალური საკუთრება, სამუშაო
პირობები და ურთიერთთანამშრომლობის
გზები მწერლებისა და მთარგმნელებისათვის

გზამკვლევი სემინარის მონაწილეებისათვის

გზამკვლევეში წარმოდგენილი მასალა მომზადდა სემინარისათვის „სამართლიანობა და თანამშრომლობა“, რომელიც ტარდება თბილისში 25-26 იანვარს პროექტ „ნიგნის პლატფორმის“ ფარგლებში შემდეგი პარტნიორების მონაწილეობით: „საქართველოს ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“, „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია“ და „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“. პროექტის მთავარი პარტნიორები არიან: „საქართველოს ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“, „გამომცემელთა ეროვნული ასოციაცია“ სომხეთში და „გამომცემელთა ფორუმი“ უკრაინაში. „ნიგნის პლატფორმა“ არის Next Page Foundation-ის პროექტი..



**GEORGIAN
COPYRIGHT
ASSOCIATION**
COLLECTIVE MANAGEMENT ORGANIZATION



საპატენტო-საბიბლიოთეკო
ნიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა
ასოციაცია

Georgian Publishers &
Booksellers Association

შინაარსი:

I ექვსი მცნება (ნესი) ლიტერატურული ნაწარმოების სამართლიანი თარგმანისთვის (CEATL-ის, ლიტერატურულ მთარგმნელთა ასოციაციების ევროპის საბჭოს მიხედვით).....	4
II მოკლე მიმოხილვა „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ უფლებამოსილების შესახებ	5
III საქართველოში მოქმედი კანონდებლობა ლიტერატურული ნაწარმოების მთარგმნელებისა და მწერლების უფლებებზე	7
IV ავტორის უფლებებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების ზოგადი მიმოხილვა ციფრულ ერაში	9
V საავტორო ჰონორარის გამოანგარიშების საფუძვლები და პირობები	12
VI მთარგმნელებსა და გამომცემლობებს შორის გასაფორმებელი სალიცენზიო შეთანხმების ძირითადი პირობები	15

CEATL – (Conseil Europeen des Associations de Traducteurs Litteraires)

ლიტერატურულ მთარგმნელთა ასოციაციების

ევროპის საბჭოს მიხედვით:

ექვსი მცნება (წესი) ლიტერატურული

ნაწარმოების სამართლიანი თარგმნისათვის:

1. უფლების მოპოვება

ნაწარმოების თარგმანის გამოყენებისათვის უფლების მოპოვება იზღუდება დროში, კერძოდ იგი შეიძლება მოვიპოვოთ მაქსიმ ხუთი წლის ვადით, გარადა ამ შეზღუდვისა მოპოვებული უფლება თარგმანზე დამოკიდებულია ორიგინალური ნაწარმოების ავტორის ნაწარმოების მოქმედების ვადაზე. თითოეული უფლება უნდა იყოს აღნიშნული კონტრაქტში.

2. ტარიფი

შეთანხმებული ტარიფი უნდა იყოს სამართლიანი, რათა მთარგმნელმა შეძლოს ღირსეულად იცხოვროს და შექმნას კარგი ხარისხის ნათარგმნი ნაწარმოები.

3. გადახდის ვადები

კონტრაქტზე ხელმოწერისთანავე მთარგმნელი იღებს საავტორო ჰონორარს მინიმუმ გადასახდელი თანხის ერთი მესამედის ოდენობით, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილი გადაეცემა განხორციელებული თარგმანის გადაცემის შემდეგ.

4.გამომცემლობის ვალდებულება

გამომცემლობა ვალდებულია გამოსცეს თარგმანი იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც გათვალისწინებულია მთარგმნელთან დადებული ხელშეკრულებით და არა უგვიანეს ორი წლის ვადისა იმ პერიოდიდან, როდესაც მას გადაეცა ნაწარმოები ხელნაწერის სახით.

5.მოგების წილი

მთარგმნელი იღებს შესაბამის წილს მისი ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლიდან.

6. სახელის უფლება მთარგმნელის სახელი უნდა მიეთითოს იმასთან ერთად, სადაც მითითებულია ორიგინალური ნაწარმოების ავტორის სახელი.

* შედგენილია CEATL -ის გენერალურ ასამბლეაზე 2011 წლის 14 მაისს.

II

მოკლე მიმოხილვა

„საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“
 უფლებამოსილების შესახებ

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს და იცავს ავტორების და საავტორო უფლებათა სხვა მფლობელების საავტორო უფლებებს. ასოციაცია არის “ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის” (CISAC) <http://cisac.org> ნამდვილი წევრი 2006 წლიდან, “რეპროდუცირების უფლებათა ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის” (IFRRO) <http://ifrro.org> ასოცირებული წევრი 2009 წლიდან და „ჩანერისა და მექანიკური რეპროდუცირების უფლებების მმართველი საზოგადოებების საერთაშორისო ორგანიზაციის (BIEM) <http://biem.org> წევრი 2010 წლიდან.

გარდა ამისა, ინტერესების ურთიერთწარმომადგენლობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე “ასოციაცია” საქართველოში წარმოადგენს 150-ზე მეტი ქვეყნისა და ტერიტორიის ორ მილიონზე მეტი ავტორისა და საავტორო უფლებების სხვა მფლობელის ინტერესებს.

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბერნის კონვენციისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დაკისრებული აქვს ვალდებულება დაიცვას როგორც ქართველი ავტორების, ისე ყველა უცხოელი ავტორის და საავტორო უფლების სხვა მფლობელთა ქონებრივი უფლებები. საქართველოს საავტორო კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების, შემსრულებლების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლების, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი უფლებების მართვას საქართველოში.

ავტორის ან საავტორო უფლების მფლობელის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის უფლებამოსილება ორგანიზაციას გადაეცემა ნებაყოფლობით, უშუალოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ, ამ ორგანიზაციაში მათი წევრობის შესახებ წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე და სწორედ აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად ახორციელებს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია, მისი წევრების ქონებრივი უფლებების მართვას, რაც გულისხმობს უფლებების გამოყენების თაობაზე ლიცენზიების გაცემას, ჰონორარის შეგროვებას და საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებისთვის მათ განაწილებას ასევე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სხვა სახის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებას.

საავტორო კანონმდებლობით ავტორებს შეუძლიათ მართონ და დაიცვან საკუთარი საავტორო უფლებები, როგორც ინდივიდუალურად, ისე ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მეშვეობით. ინდივიდუალურად საავტორო უფლებების მართვა ძალიან რთულ პროცესს წარმოადგენს, ვინაიდან შემოქმედი ადამიანისთვის ძალიან რთულია პარალელურ რეჟიმში შექმნას ახალი ნაწარმოები და ამავდროულად აკონტროლოს მისი შემოქმედების გამოყენების კანონიერება, როგორც ადგილობრივად ასევე უცხოეთში. ამ სირთულემ გამოიწვია აუცილებლობა შექმნილიყო კოლექტიური მართვის ორგანიზაცია, რომელიც მართავს და იცავს საავტორო ქონებრივ უფლებებს. ასეთი ორგანიზაციისათვის საავტორო ქონებრივი უფლებების სამართავად გადაცემა ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს.

III

საქართველოში მოქმედი კანონდებლობა ლიტერატურული ნაწარმოების მთარგმნელებისა და მწერლების უფლებებზე

საქართველოს ტერიტორიაზე ლიტერატურული ნაწარმოების ავტორისა და გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის (მთარგმნელის) საავტორო უფლებებს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ერთად იცავს და არეგულირებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი

საქართველოს კანონს “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” აქვს ხანმოკლე ისტორია, იგი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 1999 წელს. საავტორო უფლებების დაცვის საშუალებები ასევე გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სისხლის სამართლის კოდექსით. გარდა დასახელებული კანონებისა, არსებობს სხვადასხვა კონვენციები რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლიდან 2004 წლამდე მათ შორის: ბერნის კონვენცია, ისმოს შეთანხმება, რომის კონვენცია და აშ.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა. ამავე კინონით ლიტერატურული ნაწარმოების თარგმანი მიიჩნევა გადამუშავებულ ნაწარმოებად, ხოლო მთარგმნელი კი გადამუშავებული ნაწარმოების ავტორად.

გადამუშავებული ნაწარმოების ავტორს ეკუთვნის საავტორო უფლება მის მიერ განხორციელებულ გადამუშავებაზე, მაგრამ კანონისმიერი იპერატიული მოთხოვნაა გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა დაიცვას ორიგინალური ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება.

საქართველოში მოქმედი საავტორო კანონმდებლობით ნაწარმოების თარგმნის უფლება არის ავტორის ქონებრივი უფლება, რომელიც ხორციელდება შემდეგნაირად: ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება კი, ნიშნავს უფლებას განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების თარგმნა. ამ უფლებებთან ერთად ავტორი ასევე სარგებლობს საავტორო ჰონორარის მიღების უფლებით.

მოცემულ შეთხვევაში ერთმანეთისაგან უნდა განვხვავოთ ორი უფლება – ავტორის განსაკუთრებული უფლება, ნება დართოს თავისი ნაწარმოების თარგმნაზე და მთარგმნელის უფლება თარგმნაზე, როგორც ორიგინალური ნაწარმოების დაცვაზე, რაც უნდა განხორციელდეს ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლებების დაცვით.

იმისათვის რათა, მთარგმნელმა დაიცვას ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლება მთარგმნელსა და ორიგინალური ნაწარმოების ავტორს (მწერალს) შორის უნდა

გაფორმდეს წერილობითი ფორმით სალიცენზიო შეთანხმება, სადაც განისაზღვრება საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გადახდის წესი, ასევე გადამუშავებული (ნათარგმნი) ნაწარმოების მომავალში რეალიზაციიდან მიღებული საავტორო ჰონორარის პროცენტული განაწილება და ლიცენზიის სხვა პირობები.

ასეთი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში საავტორო კანონმდებლობის თანახმად ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნა არღვევს ორიგინალური ნაწარმოების ავტორის (მწერლის) საავტორო უფლებას.

ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, რომელიც არღვევს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს ითვლება საავტორო უფლების დამრღვევად. ამავე კანონის თანახმად საავტორო და მომიჯნავე უფლების დამრღვევს საავტორო კანონმდებლობით ეკისრება შემდეგი სახის პასუხისმგებლობა:

- დარღვეული უფლების აღიარება;
- უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს;
- ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;
- ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო მათი უფლებების დარღვევის შედეგად;
- ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო. ამასთან, კომპენსაცია არ უნდა იყოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად შემოსავლის მიღების მიზნით ნაწარმოების ფონოგრამის, ვიდეოგრამის, ან მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირება ან საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მათი კონტრაფაქციული ასლების შექმნა, იმპორტი ან სხვა უკანონო გამოყენება ჩადენილი დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ორ წალამდე ვადით.

ამ კოდექსის მიზნებისათვის დიდ ოდენობად მიიჩნევა დამამზადებლის მიერ მისაღები შემოსავალი, რომელიც აღემატება 5000 ათას ლარს.

შემოსავლის მიღების მიზნით საავტორო უფლების დარღვევით, ნაწარმოების კონტრაფაქციული ასლების დამაზღვრა, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი ან სხვაგვარი უკანონო გამოყენება დასჯადია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ითვალისწინებს ჯარიმას ხუთასიდან სამი ათას ლარამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში სამიათასი ლარიდან ხუთი ათას ლარამდე.

IV

ავტორის უფლებებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების ზოგადი მიმოხილვა ციფრულ ერაში

ლიტერატურული ნაწარმოების არსებობა ციფრულ ერაში გულისმობს ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნას და გამოცემას ელექტრონული (ციფრული) ფორმით, რომელიც მაგნიტურ დისკზე, კომპაქტ-დისკზე და ასე შემდეგ ინფორმაციის ელექტრონულ ჩანაწერს წარმოადგენს და განკუთვნილია ელექტრონული ტექნიკური მოწყობილობებით სარგებლობისათვის. ნაწარმოებების ელექტრონული გამოცემის სისტემა განკუთვნილია ელექტრონული ბეჭდვითი ნაწარმოებების მომზადებისა და გამოცემისათვის. ინტერნეტში ფართოდაა გავრცელებული დოკუმენტთა PDF ფორმატში პუბლიკაციის ტექნოლოგია.

ზოგადად ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა ციფრულ ფორმატში და უკვე შექმნილი ბეჭდური სახის ლიტერატურული ნაწარმოებების ციფრული დამუშავება, რომელიც გულისხმობს კომპიუტერული სისტემების მეშვეობით ბეჭდური ნაწარმოების ციფრული ფორმით მომზადებას. ასეთ სისტემებში მთელ ინფორმაციას ციფრული სახე აქვს და შესაძლებელია მათი ელექტრონულ ტექნიკური მოწყობილობებით გამოყენება. ინფორმაციის ციფრული დამუშავებისას გამოიყენება ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორცაა ტექსტის ამოცნობა, გამოსახულებების ციფრული დამუშავება და აშ.

საქართველოს საავტორო კანონმდებლობა თანაბარ რეჟიმში იცავს, როგორც ციფრულ ერაში არსებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ასევე ბეჭდურის სახით გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის უფლებებს.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ლიტერატურული ნაწარმოების გამოცემა არის ავტორის, საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით ნაწარმოების ასლების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება გაყიდვის ან გაქირავების ანდა ნაწარმოების საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა იმ რაოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს;

როგორც წესი ლიტერატურული ნაწარმოების ასლები შესაძლებელია შეიქმნას ან დამზადდეს ხელნაწერის სახით, ქალაქზე ბეჭდური ფორმით ან ციფრულ ფორმატში. სამივე აღნიშნული ფორმით ნაწარმოების ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება წარმოადგენს ნაწარმოების რეპროდუცირებას, რომელიც ავტორის ერთ-ერთი ქონებრივ უფლებაა. ლიტერატურული ნაწარმოების რეპროდუცირება კი თავის თავში გულისხმობს ლიტერატურული ნაწარმოების პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადებას ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩანერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით ნაკითხვადი სხვა ფორმით.

იმ შემთხვევაში თუ ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი ქმნის ნაწარმოებს ციფრულ ფორმატში და სურს იგი ამ სახით გამოიცეს, გამომცემლობასა და ლიტერატურული ნაწარმოების ავტორს შორის საქართველოს საავტორო კანონმდებლობის თანახმად ფორდება წერილობითი სალიცენზიო ხელშეკრულება, რომელიც შესაძლებელია იყოს ექსკლუზიური ან ჩვეულებრივი ლიცენზიის ფორმით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს საავტორო კანონმდებლობის თანახმად ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი წერილობითი სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე ნებას რთავს გამომცემლობას მოახდინოს ლიტერატურული ნაწარმოებების რეპროდუცირება (კომპიუტერის მეხსიერებაში ჩანერა) და გახადოს ნაწარმოები საყოველთაო გაცნობისათვის ხელმისაწვდომი (ნაწარმოების წვდომაზე უფლება) მომხმარებლის მიერ არჩეულ დროსა და ადგილიდან.

ასევე ლიტერატურული ნაწარმოების ავტორსა და გამომცემლობას შორის სალიცენზიო ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ლიტერატურული ნაწარმოებების მექანიკური (ციფრული) ჩანაწერით ასლის დამზადება /რეპროდუცირება ნებისმიერ მატერიალურ მატარებელზე (ვიდეოკასეტები, კომპაქტ-დისკები, CD-ROM-ები, მიკროჩიპები და ა.შ.) და მათი გავრცელება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი გამომცემლობას არ გადასცემს საავტორო უფლებებს, არამედ ნებას რთავს ჩვეულებრივი ან ექსკლუზიური ნებართვის ფორმით გამომცემლობამ გამოიყენოს მის მიერ შექმნილი ნაწარმოებზე გამოცემის, რეპროდუცირების ან გავრცელების უფლება.

ჩვეულებრივი სალიცენზიო ხელშეკრულებით გამომცემლობა ლიტერატურული ნაწარმოების ავტორისაგან იძენს ნებართვას გამოსცეს და გაავრცელოს ნაწარმოები, მაგრამ ასეთ დროს ავტორს შეზღუდული არ აქვს უფლება მესამე პირებზე გასცეს ნებართვა ანალოგიური უფლებების გამოყენების შესახებ.

ლიტერატურული ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს გამომცემლობას გადასცეს საავტორო ქონებრივი უფლებებიდან რამოდენიმე უფლება ექსკლუზიურად მაგალითისათვის გამოცემის ან რეპროდუცირების ექსკლუზიური უფლება, რაც გულისხმობს გამოცემლობის განსაკუთრებულ უფლებას გამოსცეს და გააცრცელოს კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეული ვადით. ასეთ დროს ავტორს არამარტო თვითონ შეზღუდული აქვს უფლება გასცეს ასეთი ლიცენზია სხვა პირებზე, არამედ უშუალოდ მასაც აკრძალული აქვს გამოიყენოს (გამოსცეს) მის მიერ შექმნილი ნაწარმოები.

ლიტერატურული ნაწარმოების (მათ შორის რომელიც შექმნილია ან დამაზადებულია ციფრული სახით) ავტორის უფლებების დაღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემდეგ ფორმებს:

- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189–ე მუხლის შესაბამისად, საავტორო უფლებების მითვისება, ისევე როგორც თანაავტორობაზე იძულება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. თუ იგივე დანაშაული ჩადენილია არაერთგზის, ის გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე. საავტორო უფლებების დარღვევამ, რაც გამოხატულია დიდი ოდენობით შემოსავლის (სულ მცირე 5,000 ლარი) მიღების მიზნით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირებაში, მათი ასლების უნებართვო შენახვაში, შექცენაში, გაყიდვაში, იმპორტში ან გაქირავებაში, ისევე როგორც სხვა ქმედებაში, რომელიც არღვევს შესაბამისი კანონით დაცულ უფლებებს, შეიძლება გამოიწვიოს თავისუფლების შეზღუდვა ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება

ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის (სულ მცირე 10,000 ლარი) მიღების მიზნით ან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე. თუ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს იურიდიული პირი, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სანქციები: ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია და ჯარიმა.

- ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157¹ მუხლის შესაბამისად, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირება ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლა, ისევე როგორც მათი კონტრაფაქციული ასლების შექმნა, გაყიდვა, იმპორტი, შენახვა, გაქირავება ან შემოსავლის მიღების მიზნით სხვა ქმედების ჩადენა, რომელიც არღვევს შესაბამისი კანონით დაცულ უფლებებს, ისჯება ჯარიმით 500 ლარიდან 3,000 ლარამდე (კონტრაფაქციული ასლების, მონყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის); განმეორებითი დარღვევისათვის ჯარიმის ოდენობა შეადგენს 3,000 ლარიდან 5,000 ლარამდე (კონტრაფაქციული ასლების, მონყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით). კონფისკებული მონყობილობები და კონტრაფაქციული ასლები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გადაეცემა უფლების მფლობელს. 157² და 157³ მუხლებით გათვალისწინებულია სანქცია 5,000 ლარამდე ჯარიმა და ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე უფლების მართვის ინფორმაციის (მუხლი 157²) და უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის (მუხლი 157³) შეცვლის ან განადგურებისათვის გამოყენებული მონყობილობების კონფისკაცია.

ასევე საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59–ე მუხლის შესაბამისად, საავტორო უფლებების დარღვევისას უფლების მფლობელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით, ან დამრღვევისათვის იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც მან მიიღო საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად. საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს კონტრაფაქციული ასლების, ისევე როგორც მათი დამზადებისათვის გამოყენებული მონყობილობების განადგურება. კანონის 61–ე მუხლი, აგრეთვე, უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ წინასწარი (სარჩელის უზრუნველყოფის) ღონისძიებების (აკრძალვა, ყადაღის დადება) გატარების შესაძლებლობას.

V

საავტორო ჰონორარი, მისი გამოანგარიშების პირობები და საფუძვლები ლიტერატურული ნაწარმოების ან მისი ნათარგმნის გამოცემისას ან თარგმნისას

საქართველოს კანონმდებლობით საავტორო ჰონორარის მიღების უფლებით სარგებლობს, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი ასევე გადამუშავებული ნაწარმოების ავტორი (მთარგმნელი). ამავე კანონმდებლობით საავტორო ჰონორარის ოდენობის განსაზღვრა მხარეთა შორის შეთანხმების საგანს წარმოადგენს. საავტორო ჰონორარის გადამხდელად მიიჩნევა „მოსარგებლე“, ანუ ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამა თუ იმ სახით იყენებს საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებს (მაგალითისათვის გამოსცემს, ან თარგმნის ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომლის რეალიზაციის შედეგად იღებს შემოსავალს).

ზოგადად გამომცემლის მიერ ავტორისათვის გადასხადელი საავტორო ჰონორარის ოდენობის განსაზღვრა წინაწარ ძალიან რთულ პროცედურას წარმოადგენს, რადაგან იგი დამოკიდებულია რამდენად შესაბამისი და საინტერესო პროდუქტის მიწოდება ხდება საზოგადოებისათვის. გამომცემული პროდუქტის რეალიზაცია, კი დამოკიდებულია გამომცემლობის მოქნილ პოლიტიკაზე, ასევე გამოსაცემი ნაწარმოების ინტერესზე საზოგადოების მიმართ.

საავტორო ჰონორარის გამოანგარიშების არსებული საფუძვლებია:

საავტორო ჰონორარის განსაზღვრა:

- ფიქსირებული თანხის სახით ერთჯერადი ანაზღაურების პრინციპით
- საპროცენტო განაკვეთი გამომცემული წიგნის სარეალიზაციო ან სადისტრიბუციო ფასიდან;
- საპროცენტო განაკვეთი გამომცემლის მიერ წიგნების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებიდან.

გამომცემლობა და ორიგინალური ნაწარმოების ავტორი (მწერალი) ან გადამუშავებული ნაწარმოების ავტორი (მთარგმნელი) შესაძლებელია შეთანხმდნენ ფიქსირებული სახით საავტორო ჰონორარის გადახდაზე. ასეთ დროს გამომცემლობა ერთჯერადი გადახდით ამონურავს უფლების მფლობელთან ფინანსურ ურთიერთობას. ასევე არის შემთხვევები, როდესაც გამომცემლობის დაკვეთით იქმნება ნათარგმნი ნაწარმოები. გამომცემლობის დაკვეთით უცხო ენის სპეციალისტი ქმნის გადამუშავებულ (თარგმნილ) ნაწარმოებს და იგი ასეთი სამუშაოს შესრულებისათვის ერთჯერადად იღებს შესაბამის ჰონორარს, რის შედეგად გადამუშავებულ ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებები თუ თარგმანი ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლებების დაცვით, რჩება გამომცემლობას. მეორე შემთხვევაა, როდესაც უკვე თარგმნილი ნაწარმოების გამომცემას აქვს ადგილი. ასეთ დროს გამომცემლობა და მთარგმნელი თანხმდებიან საავტორო ჰონორარზე, რომელიც შეიძლება იყოს ფიქსირებული სახით ერთჯერადი

გადახდის პირობით ან პროცენტული ოდენობა გამოცემული წიგნის რეალიზაციის ღირებულებიდან. იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან პროცენტულ ოდენობაზე მთარგმნელმა უნდა იცოდეს გამოცემული ტირაჟის მაქსიმალური ოდენობა, რეალიზებული ტირაჟი. ასევე პრაქტიკაში არსებობს ტარიფის განსაზღვრა გამოსაცემი წიგნის სადისტრიბუციო ფასიდან პროცენტული ოდენობის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში იმ მოსარგებლისათვის, რომელიც საავტორო ჰონორარს იხდის პროდუქტის და/ან მომსახურების სადისტრიბუციო ფასის მიხედვით, სადისტრიბუციო ფასად ჩაითვლება ის ღირებულება, რა ფასადაც მოსარგებლე ახდენს პროდუქტის და/ან მომსახურების პირველად რეალიზაციას, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ხორციელდება საბოლოო მომხმარებლისათვის, ნებისმიერი შუამავალი რგოლისათვის თუ პროდუქტის და/ან მომსახურების დამკვეთისათვის მიწოდებით.

იმ მოსარგებლისათვის, რომელიც საავტორო ჰონორარს იხდის გამოცემული პროდუქტის რეალიზაციით მიღებული შემოსავლიდან, ასეთ შემთხვევაში შემოსავლად ჩაითვლება ნებისმიერ ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება, რომელიც მან მიიღო შესაბამის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისი უშუალო საქმიანობის განხორციელების შედეგად და/ან აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად.

თუმცა უცხოეთის პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდება ანაზღაურების საავანსო სისტემა, როდესაც გამომცემელი ავტორს/მთარგმნელს უხდის გარკვეულ ერთჯერად თანხას ავანსის სახით, ხოლო შემდეგ უთანხმდება გაყიდული წიგნის ღირებულებიდან პროცენტის ოდენობაზე. როდესაც წიგნის გაყიდვის პროცესში მთარგმნელისთვის/ავტორისთვის გადასახდელი პროცენტის ოდენობა დაფარავს გადახდილ ავანსს, გამომცემელი პერიოდულად უხდის მთარგმნელს/ავტორს ავანსს პლიუს კუთვნილ პროცენტს, ხოლო თუ ავანსის ოდენობა დაფარული არ იქნება, ავტორი/მთარგმნელი არ არის ვალდებული გამომცემელს უკან დაუბრუნოს ავანსის თანხა ან მისი ნაწილი.

საავტორო ჰონორარის გადახდას დაქვემდებარებული შემთხვევები:

საავტორო ჰონორარის გადახდას ექვემდებარება საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების ნებისმიერი სახით გამოყენება, მათ შორის ლიტერატურული ნაწარმოების ან მის თარგმანის გამოცემა რეპროდუციონება, ან ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნა. ამასთანავე საქართველოს საავტორო კანონდებლობა აწესებს გარკვეულ გამონაკლისებს, როდესაც ნაწარმოების გამოყენებისას არ გადაიხდება საავტორო ჰონორარი, კერძოდ:

საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე დაშვებულია ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნა, ან თარგმნილი (გადამუსავებული) ლიტერატურული ნაწარმოების გამოცემა რეპროდუცირება შემდეგ შემთხვევებში:

- ხალხური შემოქმედების ნაწარმოების, რომელთა ავტორები ცნობილი არ არიან;
- გარადაცვლილ ავტორთა ნაწარმოების, რომლებსაც არ ჰყავთ მემკვიდრეები;
- ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის
- ნაწარმოების ავტორის გარდაცვალებიდან გასულია 70 (სამოცდაათი) წელი.
- ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის;
- ნაწარმოების რეპროდუცირებისას დროებითი ასლის სახით; დროებითი ასლი – ნაწარმოების, შესრულების ჩანაწერის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის ან მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემის ჩანაწერის შემთხვევითი ან აუცილებელი დროებითი ასლი, რომელიც წარმოადგენს

ტექნიკური პროცესის აუცილებელ და მნიშვნელოვან ნაწილს; დროებითი ასლის შექმნის ერთადერთი მიზანი უნდა იყოს უზრუნველყოს ობიექტის ქსელში გადაცემა მესამე პირებს შორის ნაწარმოების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების შუალედური ან კანონიერი გამოყენებისას და ასეთ დროებით ასლს არ უნდა ქონდეს დამოუკიდებელი კომერციული მნიშვნელობა; მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდული გამოცემების მეშვეობით მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სტატიების ან საჯაროდ გადაცემული მსგავსი შინაარსის ნაწარმოებების რეპროდუცირება ჟურნალგაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ;

- საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების, მათ შორის, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების რეპროდუცირება, თარგმნა ჟურნალგაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთ ნაწარმოებთა ცალკე კრებულად ან წიგნად გამოცემის განსაკუთრებული უფლება;
- მართლზომიერად გამოცემული ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებების ან წერილობითი ნაწარმოების მოკლე ნაწყვეტებისა (კომპიუტერული პროგრამების გარდა) საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მეცადინეობისათვის.

ასევე დაშვებულია საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე ნაწარმოების რეპროდუცირება და თარგმნა ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, სასამართლო ნაწარმოებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით.

VI

მთარგმნელებსა და გამომცემლობებს შორის გასაფორმებელი სალიცენზიო ხელშეკრულების ძირითადი პირობები

საქართველოს საავტორო კანონმდებლობით გამომცემლობა ვალდებულია ავტორთან ან საავტორო უფლების სხვა მფლობელთან გააფორმოს სალიცენზიო ხელშეკრულებაროგორც ორგინალური, ასევე ნათარგმნი ნაწარმოების გამოცემაზე ან სხვა სახით რეპროდუცირებაზე.

საქართველოს საავტორო კანონმდებლობა სალიცენზიო ხელშეკრულების მხოლოდ წერილობით ფორმას ითვალისწინებს.

სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად პირობებს:

- ნაწარმოების ზუსტი აღწერა (ნაწარმოების სახელწოდება, მოცულობა, ჟანრი)
- ნაწარმოების გამოყენების კონკრეტული სახე (მაგალითისათვის ნაწარმოების გამოცემა, რეპროდუცირება, საჯარო გადაცემა და ა.შ.);
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
- ხელშეკრულებით ნებადართული უფლების გამოყენების ტერიტორია;
- ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის წესი (გამოანგარიშების მეთოდი, საფუძვლები);
- ავტორისათვის მისაღები საავტორო ჰონორარის ოდენობა;
- საავტორო ჰონორარის გადახდის ფორმა და წესი;
- საავტორო ჰონორარის გადახდის ვადა.

ნაწარმოების ყველა იმ სახით გამოყენების უფლება, რომელიც სალიცენზიო ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ეკუთვნის ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს.

როდესაც სალიცენზიო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ნაწარმოების გამოყენების კონკრეტული სახე, ხელშეკრულება ითვლება დადებულიად ნაწარმოების ისეთ გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად მხარეთა იმ განზრახვის შესრულებისათვის, რომელიც მათ ჰქონდათ ხელშეკრულების დადებისას. სალიცენზიო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ მიეცეს სხვა პირებს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულება შეიძლება გააუქმოს ავტორმა ან საავტორო უფლების სხვა მფლობელმა მისი დადებიდან 3 წლის შემდეგ. ლიცენზიატს აღნიშნულის თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით ხელშეკრულების გაუქმებამდე 6 თვით ადრე.

სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს ნაწარმოების გამოყენების ტერიტორიას, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ნაწარმოების გამოყენებისათვის დადებული სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების ადგილად მიიჩნევა საქართველოს ტერიტორია.

თუ ნაწარმოების რეპროდუცირების შესახებ სალიცენზიო ხელშეკრულებაში ჰონორარი განისაზღვრება ფიქსირებული თანხით, სალიცენზიო ხელშეკრულებით უნდა დადგინდეს ნაწარმოების მაქსიმალური ტირაჟი.



ეს გზამკვლევი შედგენილია Next Page Foundation პროექტ „ნიგნის პლატფორმის“ ფარგლებში.
www.npage.org www.bookplatform.org

მთავარი პარტნიორები:

გამომცემლების ეროვნული ასოციაცია (სომხეთი),
საქართველოს ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია (საქართველო),
გამომცემელთა ფორუმი (უკრაინა)



**National Publishers
Association - Armenia**



საქართველოს
ნიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა
ასოციაცია

**Georgian Publishers &
Booksellers Association**



Publishers' Forum – Ukraine